პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	მუსიკის ტექნოლოგია **MusicTechnology**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	კვლევის მაგისტრი მუსიკის ტექნოლოგიაში MasterofResearchinMusicTechnology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამის მოცულობაა 60 კრედიტი საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 1 წელს ანუ 2 სემესტრს.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელი	თსკ მოწვეული სპეციალისტი რეზო კიკნაძე თსკ ასოცირებული პროფესორი მაკა ვირსალაძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილზე (60 ECTS კრედიტი)სწავლის გაგრძელების და მიღების წინაპირობებია: თსკ-ს იმავე სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის (არანაკლებ 60 ECTS კრედიტის მოცულობის) გავლა შემდეგი კვალიფიკაციით: მაგისტრი მუსიკის ტექნოლოგიაში. **ხოლო იმ** სტუდენტებისთვის, რომლებიც პირველ საფეხურზე ჩარიცხვიდან 5 წლის განმავლობაში ვერ მოახერხებენ სწავლის გაგრძელებას, სავალდებულოა: ● მაგისტრატურის პირველი ნაწილის (არანაკლებ 60 ECTS კრედიტის მოცულობის) გავლა შემდეგი კვალიფიკაციით: მაგისტრი მუსიკის ტექნოლოგიაში. ● კონსერვატორიის შემოქმედებითი ტურის, რომელიც გულისხმობს ა) აპლიკანტის შემოქმედებითი პროექტის წერილობითი აღწერის (ქართულ ენაზე შესრულებული ელ.ფაილის/ფოლდერის სახით) და განვლილი შემოქმედებითი აქტივობების პორტფოლიოს წარდგენას (ელ.ფაილის/ფოლდერის სახით); ბ) ინგლისურენოვან გასაუბრებას პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე, რა დროსაც აპლიკანტი უზრუნველყოფს პროექტის პრეზენტაციას და კომისიის წევრების კითხვებზე პასუხს პრეზენტაცია შესაძლოა მოიცავდეს როგორც ახალ, ისე პირველი წლის განმავლობაში განხორციელებული კვლევის <u>აქტუალიზებულ</u> თემატიკას); ● ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარებას/გავლას;

	პირი, რომელიც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაასრულებს მუსიკის ტექნოლოგიის 120-კრედიტიანი იმავე სამაგისტრო პროგრამის პირველ ნაწილს (60 ECTS კრედიტი), პროგრამის მეორე ნაწილზე ჩარიცხვის მიზნით ვალდებულია: ● ჩააბაროს ერთიანი სამაგისტრო გამოცდა; ● წარმატებით გაიაროს კონსერვატორიის შემოქმედებითი ტური; პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურების, შემოქმედებითი ტურისა და კონსერვატორიის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება შემოქმედებითი ტურების, ქართული ენის B2 დონეზე დადასტურებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი მიზნად ისახავს სტუდენტის დამოუკიდებელი შემოქმედებითი, კვლევითი და პროფესიული საქმიანობის განვითარებას, კერძოდ: ● მუსიკის ტექნოლოგიის მიმართულებით დამოუკიდებელი და მაღალკვალიფიციური შემოქმედებითი პროექტის დაგეგმვას, განხორციელებასა და პრეზენტაციას; ● თანამედროვე მუსიკალური ტექნოლოგიების, აუდიოდიზაინისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით ახალი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას; ● მხატვრული კვლევის მეთოდების პრაქტიკაში გამოყენებას და პროფესიული პრობლემების ორიგინალური გზებით გადაჭრას; ● დამოუკიდებელი პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისა და აკადემიურ თუ პროფესიულ გარემოში ეფექტიანი კომუნიკაციის უნარის გაღრმავება; ● მუსიკალურ ინდუსტრიაში დასაქმებისა და/ან სწავლების გაგრძელებისთვის მომდევნო საფეხურზე საჭირო კომპეტენციების გაღრმავება.

სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება** მეორე ნაწილის დასრულების შემდეგ სტუდენტი: ● **ავლენს** მუსიკის ტექნოლოგიის სფეროს უახლეს მიღწევებზე დაფუძნებულ ღრმა, სისტემურ და კრიტიკულად გააზრებულ ცოდნას; ● **კრიტიკულად აფასებს** თანამედროვე საკომპოზიციო, აუდიოდიზაინისა და ელექტრონული მუსიკის განვითარების ტენდენციებს; ● **ახდენს** სხვადასხვა დისციპლინის ცოდნის ინტეგრირებას ახალი, ორიგინალური იდეებისა და ინოვაციური შემოქმედებითი პროექტების განვითარების მიზნით; ● **აცნობიერებს** კვლევისა და პროფესიული საქმიანობის სოციალურ, ეთიკურ და კულტურულ პასუხისმგებლობებს. **უნარი** სტუდენტი: ● დამოუკიდებლად **ახორციელებს** მხატვრულ და/ან პრაქტიკულ კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ● უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში **ეძებს** რთული შემოქმედებითი და ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის ახალ და ორიგინალურ გზებს; ● **ახდენს** ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას; ● **ქმნის** ინოვაციურ მუსიკალურ და აუდიოტექნოლოგიურ პროდუქტს პროფესიულ დონეზე; ● აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით **წარადგენს** საკუთარი კვლევის, შემოქმედებითი საქმიანობისა და პროფესიული პრაქტიკის შედეგებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** სტუდენტი: ● **მართავს** კომპლექსურ და მულტიდისციპლინურ პროფესიულ გარემოს ახალი სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით; ● **შეაქვს წვლილი** მუსიკის ტექნოლოგიის სფეროში პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში;

	• **დამოუკიდებლად წარმართავს** საკუთარ უწყვეტ პროფესიულ და აკადემიურ განვითარებას; • **ინარჩუნებს** მაღალი პროფესიული, ეთიკური და აკადემიური პასუხისმგებლობის სტანდარტებს კვლევით, შემოქმედებით და პრაქტიკულ საქმიანობაში.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის განხორციელების აუცილებელი პირობაა სტუდენტის დამოუკიდებელი შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა, ინოვაციური და ორიგინალური იდეების განვითარება, ასევე მუსიკის ტექნოლოგიის სფეროში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიება. სწავლების პროცესი ორიენტირებულია დამოუკიდებელი კვლევის, შემოქმედებითი პროექტების განხორციელების, მულტიდისციპლინურ გარემოში საქმიანობისა და პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანის უნარის ჩამოყალიბებაზე. სწავლების პროცესში გამოიყენება: • ინდივიდუალური და ჯგუფური შემოქმედებითი პროექტების განხორციელება; • სტუდიური-კვლევითი და ექსპერიმენტული მუშაობა; • შემოქმედებითი და კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობითა და დამოუკიდებლად შესრულება; • ფესტივალებში, კონცერტებში, მულტიმედიურ პროექტებსა და პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობა; • კვლევის შედეგებისა და შემოქმედებითი ნამუშევრების საჯარო პრეზენტაცია; • პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებასთან დისკუსიები;
შეფასების სისტემა	საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც განსაზღვრულია შესაბამის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

	კანონით გათვალისწინებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
დასაქმების სფეროები	პროგრამის კურსდამთავრებული კომპოზიტორისა და აუდიოდიზაინერის სტატუსით შეიძლება დასაქმდეს შემოქმედებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ტელევიზია, რადიო, ახალი მედია). შემოქმედებით გაერთიანებებსა და ინდივიდუალური არტისტული საქმიანობის სფეროებში; სახელოვნებო პროფილის რეგიონულ და მუნიციპალურ განყოფილებებში; მუსიკალურ სტუდიებში; სარეკლამო ბიზნესში; შემოქმედებით სტუდიებში; მუსიკალურ და დრამატულ თეატრებში, კინოსტუდიებში.
სწავლის საფასური	საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად კონსერვატორიას გააჩნია სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებით/პრაქტიკული მუშაობისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები, საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები. სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება ბიბლიოთეკების, ფონოთეკის მომსახურებით. გარდა ამისა, მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია შემდეგი შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით: Yamaha-ს 5 (MSP 7) +2 (HS 8) +1 (HS 8S) მაღალი ხარისხის სტაციონარული დინამიკები. Yamaha-ს 6 (StagePass) მაღალი ხარისხის პორტატული დინამიკი (ნებისმიერი სასცენო სიტუაციისთვის). 8 მაღალი ხარისხის მიკროფონი (2 ცალი Neumann, 2 ცალი SHURE SM57, 2 ცალი SHURE SM58, 2 ცალი SHURE KSM42). Yamaha-ს 1 (TF-3) მაღალი ხარისხის სტუდიური მიქსერი (აუდიოინტერფეისადაც გამოყენებადი მრავალარხიანი სტუდიური და საკონცერტო პროდუქციის დროს). 5 სტაციონარული კომპიუტერი; პროგრამული უზრუნველყოფა: ProTools, Max/MSP/ დარბაზის სცენა და სალექციო სტუდია ერთმანეთთან დაკავშირებულია მრავალწვერიანი (Multicore) კაბელით აუდიოსაკომუნიკაციო ხარისხისა და კომფორტისთვის. *სტუდიის ტექნიკის* პრაქტიკული კურსისთვის საჭირო ხელსაწყოები და სახარჯი მასალა; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს კონსერვატორიის აკადემიური პერსონალი (3 ასოცირებული პროფესორი, 1 ემერიტუს პროფესორი) და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი (6 მოწვეული სპეციალისტი), რომელთაც აქვთ მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	იხ. დანართი
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	პროგრამის შეთავაზების მიზეზი უკავშირდება როგორც თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნებს, ისე დღევანდელი მუსიკალური ესთეტიკის გაფართოებულ ჰორიზონტს და

	განვრცობილ გამომსახველობით საშუალებებს, რომელთა გარეშე მუსიკის სწავლება დიდად ნაკლოვანი შეიძლება აღმოჩნდეს; ამის დასტურია სამუსიკო განათლების საერთაშორისო აკადემიური კონტექსტი. ჩვენში ელექტრონული მუსიკის სფეროში დასაქმებულთა შორის პროფესიონალიზმით ერთეულები გამოირჩევიან, რომელთაც განათლება უცხოეთში აქვთ მიღებული. დიდ უმრავლესობას კი აკლია ასეთი დაოსტატება, რაც გამონვეულია მათი თვითგანათლებით, მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილებით მიღებული უნარებით, და დარგის თეორიულ საფუძვლებში ცოდნის დანაკლისით. ირკვევა, რომ ქვეყანაში მზარდია მოთხოვნა ამ სპეციალობაზე. კონსერვატორიას თავისი მისიის, აკადემიური სწავლების მრავალწლიანი გამოცდილების, აკადემიური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის წყალობით, აქვს რეალური შესაძლებლობა, განახორციელოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამა - მუსიკის ტექნოლოგია და უზრუნველყოს საბაკალავრო საფეხურზე მიღებული ცოდნისა და უნარების გაღრმავება სამაგისტრო დონეზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უსდ-ებში არ ხორციელდება მსგავსი საგანმანთლებლო პროგრამა, რომელიც ამზადებს მაგისტრს მუსიკის ტექნოლოგიის სპეციალობით, ამდენად, პროგრამის კურსდამთავრებულები თავისი დარგობრივი ცოდნით და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარით შეავსებენ დღეს ქვეყანაში არსებულ დეფიციტს, პროფესიულსაც და ესთეტიკურსაც.